



შპს „ანდრე აუდიტი“

ფორმის რეგისტრაციის # SARAS-F-934401

#ანდრ 11.12/23

11.12.2023

ს/ნ 406121352

ქ. თბილისი, ლეჟავას #22

ტელ: 577656401

andreauditi@gmail.com

შპს „ვაკო მოტორსი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს-ს „ვაკო მოტორსი“ - დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოდIFIცირებული (პირობითი) მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს-ის „ვაკო მოტორსი“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა ქვეთავში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხებისა, შპს-ის „ორიენტ ლოჯიკი“ ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შევისწავლეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია და ვასკვნით, რომ წარმოდგენილი საკითხები არსებითია მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

კერძოდ:

- 1) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი უფიქსირდება - 6 114 431 ლარი. ხოლო, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგები - 6 516 662 ლარს შეადგენს. ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ ვიყავით 2022 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის, შესაბამისად ვერ დავაკვირდით სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს. ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ ვადასტურებთ საქონლის ნაშთის ფაქტობრივი ოდენობის შესაბამისობას ანგარიშგებაში გაჟღერებულ საქონლის ნაშთის ოდენობასთან, ასევე, ვერ განვსაზღვრეთ ჩამოსაფასებელი საქონლის ოდენობა. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხულ მარაგებთან დაკავშირებით.
- 2) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაშთი უფიქსირდება - 5 234 135 ლარის. ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - 5 849 251 ლარს. ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ ვიყავით 2022 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის, შესაბამისად არ მოგვითხოვია ინვენტარიზაცია აღნიშნულ პერიოდში და არც ჩატარებულა.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების შემდეგ პუნქტებზე:

შენიშვნა 2 - გვიჩვენებს, რომ კომპანიამ მიიღო წმინდა ფინანსური მოგება, მას უფიქსირდება დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს მომგებიანი ოპერაციები ან/და მოიზიდოს დამატებითი ფინანსები.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ

წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ

შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტის“ სახელით

სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი

SARAS-A-863342

თბილისი, საქართველო

11 დეკემბერი 2023 წ.

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	8
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	11
განმარტებითი შენიშვნები	12
1. ზოგადი ინფორმაცია.....	12
2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:.....	12
3. მნიშვნელოვანი მოვლენები.....	13
4. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა:.....	13
5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:	14
5.1. ფულადი სახსრები:.....	14
5.5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:.....	14
5.8. ძირითადი საშუალებები:.....	15
5.10. არამატერიალური აქტივები:.....	15
5.12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:.....	15
5.13. გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული შემოსავალი:.....	16
5.15. სავაჭრო ვალდებულებები.....	16
5.16. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:.....	16
6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.....	16
6.5.1. ამონაგები:.....	17
6.5.2. სხვა შემოსავალი:.....	17
6.5.3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:	17
6.5.4. თანამშრომელთა ხელფასები	18
6.5.5. ცვეთა და ამორტიზაცია:.....	18
6.5.6. საოპერაციო იჯარა:.....	18
6.5.7. აღმისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:.....	18
6.5.8. საპროცენტო ხარჯი:.....	18
6.5.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი:.....	19
7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	19
8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში	19
9. დასკვნითი ნაწილი	19
10. მმართველობითი ანგარიში.....	20

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. კერძოდ:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 11 დეკემბერს

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები	5.1.	362 053	251 673
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5.12.	850 143	746 714
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5.5.	6 516 662	6 114 431
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	5.4.	327 864	263 857
სულ მიმდინარე აქტივები		8 056 722	7 376 676
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5.8.	5 849 251	5 234 135
არამატერიალური აქტივები	5.10.	37 845	30 549
სხვა გრძელვადიანი აქტივი	5.12.	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		5 887 096	5 264 684
სულ აქტივები		13 943 818	12 641 360

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5.15.	517 084	966 841
მიღებული ავანსები	5.16.2.	12 766	18 486
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	5.16.1.	92 996	525
სულ მიმდინარე ვალდებულება		622 846	985 851
გრძელვადიანი ვალდებულება			
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5.11.	5 941 274	6 763 604
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		5 941 274	6 763 604
სულ ვალდებულება		6 564 120	7 749 455
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		471 028	150 215
გაუნაწილებელი მოგება		6 908 670	4 741 690
სხვა რეზერვები			
სულ კაპიტალი		7 379 698	4 891 905
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		13 943 818	12 641 361

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 11 დეკემბერს:

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

დირექტორი

/ვახტანგ ქათამაძე/

მთავარი ბუღალტერი

/თამარ დოხნაძე/

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ნეტო ამონაგები	6.5.1.	13 712 001	9 525 843
საქონლის გაყიდვიდან		13 527 603	9 330 884
სხვა		184 398	194 959
სულ შემოსავალი		13 712 001	9 525 843
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6.5.3.	- 8 161 973	- 4 975 755
საწყისი მარაგები		- 6 114 431	- 3 231 315
მარაგების შესყიდვა		- 8 564 204	- 7 858 871
საბოლოო მარაგები		6 516 662	6 114 431
საერთო მოგება		5 550 028	4 550 088
სხვა შემოსავალი	6.5.2	1 653 530	552 746
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	6.5.4.	- 2 669 806	- 1 972 280
ცვეთა და ამორტიზაცია	6.5.5.	- 213 964	- 144 489
საპროცენტო ხარჯი	6.5.8.	- 322 287	- 264 699
იჯარის ხარჯი	6.5.6.	- 426 630	- 310 752
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	6.5.7.	- 736 342	- 490 593
სულ საოპერაციო ხარჯი		- 2 834 529	- 2 630 067
საოპერაციო მოგება		2 834 529	1 920 021
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	6.5.9.	- 132 614	- 58 918
მოგება/(ზარალი)მოგების გადასახადის ხარჯამდე		2 701 915	1 861 103
მოგების გადასახადი			- 658
მოგება/(ზარალი)		2 701 915	1 860 445
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი),სულ		2 701 915	1 860 445
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		2 701 915	1 860 445
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		4 891 905	3 047 560
ახალი აქციების გამოშვება			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		- 534 934	- 166 315
კაპიტალის სხვა ცვლილებები		320 813	150 215
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		7 379 699	4 891 905

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 11 დეკემბერს:

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

დირექტორი

/ვახტანგ ქათამაძე/

მთავარი ბუღალტერი

/თამარ დოხნაძე/

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022 წელი	2021 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	16 312 458	10 539 143
ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება	9 480	-
გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	69 778	32 524
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	16 391 716	10 571 668
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(9 522 304)	(8 063 789)
შრომის ანაზღაურება	(2 014 368)	(1 489 884)
მივლინება	(29 941)	(9 144)
გადახდილი გადასახადები	(2 858 601)	(2 042 441)
საპენსიო	(96 000)	(60 216)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(884 871)	(513 352)
იმპორტის გადასახადი	(37 613)	(59 241)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	948 018	(1 666 400)
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		
კაპიტალის გაზრდა	625 071	466 215
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	625 071	466 215
ძირითადი საშუალებების შეძენა	(440 251)	(401 779)
მიწის ნაკვეთების შეძენა	-	(2 396 309)
კაპიტალის შემცირება	(304 258)	(316 000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(119 438)	(2 647 873)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	-	185 647
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	1 383 195	6 784 793
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1 383 195	6 970 440
დივიდენდების გადახდა	(431 960)	(134 300)
სესხის ძირის გადახდა	-	(187 681)
სესხის ძირის გადახდა	(1 238 591)	(2 047 781)
სესხის პროცენტის გადახდა	(322 287)	(264 699)
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(23 060)	(41 792)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(632 704)	4 294 188
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	195 877	(20 085)
სავალუტო კურსის ეფექტი	(85 497)	(128 625)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	251 673	400 383
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	362 053	251 673

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 11 დეკემბერს:

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

დირექტორი

/ვახტანგ ქათამაძე/

მთავარი ბუღალტერი

/თამარ დოხნაძე/

შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	0	1 698 066	0	1 698 066
მოგება / (ზარალი)	0	984 640	0	984 640
დივიდენდის გამოცხადება	0	-307 947	0	-307 947
ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	0	2 374 760	0	2 374 760
მოგება / (ზარალი)	0	909 116	0	909 116
დივიდენდის გამოცხადება	0	-236 316	0	-236 316
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	0	3 047 560	0	3 047 560
მოგება / (ზარალი)	0	1 860 445	0	1 860 445
დივიდენდის გამოცხადება	0	-166 315	0	-166 315
კაპიტალის სხვა ცვლილებები	150 215	0	0	150 215
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	150 215	4 741 690	0	4 891 905
მოგება / (ზარალი)	0	2 701 915	0	2 701 915
დივიდენდის გამოცხადება	0	-534 935	0	-534 935
კაპიტალის სხვა ცვლილებები	320 814	0	0	320 814
ნაშთი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	471 029	6 908 670	0	7 379 699

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 11 დეკემბერს:
შპს „ვაკო მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N202463823)

დირექტორი /ვახტანგ ქათამაძე/

მთავარი ბუღალტერი /თამარ დოხნაძე/

განმარტებითი შენიშვნები

შპს „ვაკო მოტორსი“ 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ვაკო მოტორსი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2009 წლის 20 ნოემბერს. საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ვახტანგ ქათამაძე (პ№01025001713)

1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ავტომობილების ტექნიკური მომსახურება.
- ავტომობილების სათადარიგო ნაწილების იმპორტი და რეალიზაცია.

1.3. საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს და მას გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;

1.4. შეიღობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შეიღობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

- ✓ გაყიდვების სამსახურის უფროსი.
- ✓ ბიზნეს განვითარების მენეჯერი.
- ✓ ფილიალის მმართველი.
- ✓ ფინანსური მენეჯერი.
- ✓ HRM და ადმინისტრაცია.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

დაარსების დღიდან დღემდე კომპანია თანამშრომლობს 50-მდე ევროპულ მწარმოებელ ბერენდთან. პროდუქტის ასორტიმენტი ყოველდღიურად იხვეწება და ვითარდება. ორგანიზაციის განვითარებიდან გამომდინარე ევროპული მომწოდებლების სია ყოველწლიურად იზრდება.

კომპანიის სათაო ოფისი (სერვისი, სათ.ნაწილების მაღაზია-საწყობი, სატვირთოების ყიდვა-გაყიდვა) განთავსებულია მცხეთის რეგიონში მთავარ მაგისტრალზე სადაც მომხმარებლებისთვის, როგორც ქართველისთვის ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მარტივი და მოსახერხებელია სერვისის შემთხვევაში სატვირთოს მიყვანა. ვაკო მოტორსი ემსახურება როგორც ქართულ კომპანიებს ასევე აზერბაიჯანულ და სომხეთში რეგისტრირებულ ორგანიზაციებს.

სატვირთო ავტომობილების სფეროში მიმდინარე მუდმივი სიახლეების შესაბამისად, კომპანია ვაკო მოტორსი ყოველწლიურად ზრუნავს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. კერძოდ, ყოველწლიურად მექანიკოსები და ადმინისტრაცია გადის საერთაშორისო ტრენინგებს (DAF აკადემია, ISO სტანდარტები) რათა მომხმარებლებს გავუწიოთ მაღალი ხარისხის მომსახურება.

შინაარსი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	1 698 066
მოგება/(ზარალი)	984 640
დივიდენდის გამოცხადება	-307 947
ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2 374 760
მოგება/(ზარალი)	909 116
დივიდენდის გამოცხადება	-236 316
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	3 047 560
მოგება/(ზარალი)	1 860 445
დივიდენდის გამოცხადება	-166 315
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0

ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 741 690
მოგება/(ზარალი)	2 701 915
დივიდენდის გამოცხადება	-534 935
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0
ნაშთი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	6 908 670

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბაზარზე არსებული დამატებითი მოთხოვნის გამო 2021 წელს ქალაქ ბათუმში, ხოლო 2022 წელს თბილისში, კერძოდ ორხევის დასახლებაში გაიხსნა სერვის ცენტრი, რაც ჩვენი კომპანიის სტაბილური ფუნქციონირებადობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები

3.1. დაიხვეწა საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია.

3.2. საგადასახადო ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობის კონტროლის გააღვივების მიზნით ბუღალტრული აღრიცხვაში საგადასახადო ვალდებულებების სუბანგარიშების სააღრიცხვო ბარათების პარალელურად გაიხსნა ნაერთი საგადასახადო-სააღრიცხვო ბარათი.

3.3. 2018 წლიდან საწარმომ დანერგა საგადასახადო ვალდებულებების ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის სისტემა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მსს-ის ფასს სტანდარტებს, ამასთან შესაძლებლობას იძლევა სისტემატურად განხორციელდეს გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათისა და გადასახადების სახეობების მიხედვით ანალიზური აღრიცხვის ბარათებზე ასახული ინფორმაციის ურთიერთ შესაბამისობას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

4.1. საწარმოს მიერ 2019 წლების ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად მოხდა პირველად.

4.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.4. საწარმოს წინა საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

4.5. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.

4.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

4.7. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.8. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს;

5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

5.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე პირდაპირი მეთოდით;

დასახელება	31,12,2021	31,12,2022
1110 - ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	38 380	78441
1210 - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	212 367	272372
1220 - უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	926	11241
სულ ჯამი	251 673	362 053

5.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

5.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.4. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი:

დასახელება	31,12,2021	31,12,2022
1480 - მომწოდებელზე გადახდილი ავანსი	263 857	327 864

5.5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

დასახელება	31,12,2021	31,12,2022
1610 - საქონელი	6 031 299	6 458 322
1630 - დაუმთავრებელი წარმოება	30 768	24 484
1680 - საწვავი	804	1 645
1698 - სერვისიზე გახარჯული მასალები	2 518	
1699 - სერვისზე აყვანილი ხელსაწყოები	49 041	32 211
სულ ჯამი	6 114 431	6 516 662

5.6. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულებების ფორმულით;

5.7. საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

5.8. ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით. გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

დასახელება	2022 წელი						
	ისტორიული ღირებულება	ჯამური ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 01.01.2022	მიღებუ	გასვლა	2022 წლის ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 31.12.2022
მიწისნაკვეთი	3759252	0	3759252	0	0	0	3759252
დაუმთავრებელი მშენებლობა	342304	0	342304	334334	0	0	676638
მანქანა დანადგარები	550692	140624	410068	204244	0	78181	536131
ოფისის აღჭურვილობა	213989	90099	123890	53537	0	27318	150109
ავეჯი და ინვენტარი	111372	37943	73429	68341	0	15152	126618
სატრანსპორტო საშუალებები	481385	84521	396864	127237	10679	54386	459036
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	195194	66866	128328	42283	0	29144	141467
ჯამი	5654188	420053	5234135	829976	10679	204181	5849251

5.9. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

5.10. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს გააჩნია საავტორო უფლებები ახალ პროდუქციაზე და სამარკო ნიშანი, მაგრამ რადგანაც ისინი შექმნილია საწარმოს შიგნით გაწეული დანახარჯებით, არამატერიალურ აქტივად აღიარებული არ არის და მიკუთვნებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯებზე. თუმცა, საწარმოს გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ასახულია არამატერიალური აქტივის სახით;

დასახელება	31,12,2021	31,12,2022
2590 - სხვა არამატერიალური აქტივები	48 670	65 749
2690 - სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-18 121	-27 904
სულ ჯამი	30 549	37 845

5.11. საწარმოს გააჩნია გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება.

დასახელება	31,12, 2021	31,12,2022
4140 - გრძელვადიანი სესხები	6 763 604	5 941 274

5.12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საზოგადოებას საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ

განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

დასახელება	31,12,2021	31,12,2022
1410 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	735 096	838 137
1411 - მოთხოვნები ბანკებიდან	0	350
1415 - გამოქვითული საექვო მოთხოვნები	11 618	11 618
1430 - მოთხოვნები ანგარიშვალდებულ პირებთან	0	38
სულ ჯამი	746 714	850 143

5.13. გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული შემოსავალი:

